MAC GEORGIA

სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი

დამხმარე საშუალებებით

უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

- სავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირი;
- სავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე შშმ ბავშვი

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია, როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- პროგრამის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი);
- პროგრამის მოსარგებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში - მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა);
- მექანიკური სავარძელ-ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში - დამხმარე საშუალების გაცემა შესაძლებელია სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა N IV-100/ა-ის საფუძველზე;
- პედიატრიული სავარძელ ეტლის მოთხოვნის შემთხვევაში - დამხმარე საშუალების გაცემა შესაძლებელია სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი ფორმა N IV-50/2 - ის საფუძველზე

- **სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი - ფორმა N IV-50/2. აღნიშნული ფორმის აღება შეიძლება იმ სამედიცინო დაწესებულებაში, ვისაც აქვს შშმ სტატუსის დადგენის შესაბამისი უფლება.**

- **ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

შენიშვნა: *პროგრამაში ჩართვის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოდან მიიღებთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო, ეგრეთ-წოდებულ ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებს გაეცნობით თან-დართულ წერილში.*

ვინ სარგებლობს ვაუჩერის 100%-იანი დაფინანსებით მექანიკურ სავარძელ-ეტლის და პედიატრიული ეტლის შემთხვევაში?

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;
- სპეციალიზებულ სადღეღამისო დაწესებულებებში სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მცხოვრები ბენეფიციარები;
- "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით განსაზღვრული პირები: პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები;
- სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;
- ყველა სხვა ბენეფიციარი დაფინანსდება მექანიკური ეტლის ღირებულების 90%-ის ფარგლებში

ელექტროსავარძელ-ეტლის საჭიროების მქონე ბენეფიციარები დაფინანსდებიან ვაუჩერის ლიმიტის 100% ის ფარგლებში.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

» სავარძელ-ეტლების ბენეფიციარზე გაცემა და ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მორგება საჯდომის სიგანის, საზურგის სიმაღლის, ფეხის დასადების მიხედვით;

» საჭიროების შემთხვევებში - სავარძელ-ეტლთან ერთად ხდება ნაწოლებისგან დამცავი სპეციალური ბალიშის გაცემა;

» ეტლთან ერთად ზეწოლის შემამსუბუქებელი სპეციალური ბალიშის გაცემა (ყველა ტიპის ეტლს აუცილებლად უნდა მოყვებოდეს კომფორტის ტიპის ბალიში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - ზეწოლის შემამსუბუქებელი ბალიში);

» საჭიროების შემთხვევაში, მექანიკურ ეტლთან ერთად ხელმოსაჭიდი ძელებით უზრუნველყოფა;

» სავარძელ-ეტლების გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა;

» საგარანტიო მომსახურება მინიმუმ 36 თვის განმავლობაში (ელექტრო ეტლის, აკუმულატორის საგარანტიო ვადა შეადგენს 24 თვეს)

» საგარანტიო მომსახურების ვადის ამოწურვამდე გაცემული სავარძელ-ეტლის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული ბენეფიციარის მიზეზით) მისი უფასო შეცვლა, თუ მისი შეკეთება ვერ ხერხდება საგარანტიო მომსახურების მიღების მოთხოვნით მიმართვიდან 7 კალენდარული დღის ვადაში;

» ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი მექანიკური სავარძელ-ეტლის შემთხვევაში შეადგენს – 760 ლარს

» ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაშივშეადგენს - 5053 ლარს

» ვაუჩერის დაფინანსების ლიმიტი საშუალო და მაღალი მორგების პედიატრიული ეტლის შემთხვევაში შეადგენს - 2650 ლარს

საშუალო და მაღალი მორგების პედიატრიული ეტლის შემთხვევაში:

- შესაბამისი ტიპის, მოდელისა და ზომის ეტლის შერჩევა;
- პოზის დამჭერი საშუალებების განსაზღვრა, შერჩევა და ფორმირება/ დამზადება, ეტლზე მონტაჟი, მორგება;
- შესაბამისი ფორმის ბალიშის განსაზღვრა, ფორმირება, მორგება;
- ეტლის მომხმარებლისთვის მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში - სახლთან ახლოს, მორგება პირისპირ შეხვედრის საფუძველზე;
- ეტლის მომხმარებლის და/ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ტრენინგი ეტლის მოხმარების და მოვლის საკითხებში;

ელექტრო სავარძელ-ეტლის შემთხვევაში :

- ეტლის მორგება ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით და გადაცემა საცხოვრებელ ადგილზე მიტანით;
- მენჯისა და გვერდითა დამჭერების, მხრების ქამრის, ფეხის დამჭერი ქამრის, თავის დამჭერის, ტერფის კორექტორის, მაგიდისა და ხელის დასადების დამონტაჟება. მართვის პულტი უნდა მონტაჟდებოდეს ბენეფიციარის შესაძლებლობისა და საჭიროებების მიხედვით;
- ეტლის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება და ეტლის სახელმძღვანელოს გადაცემა მოსარგებლე პირზე ან მის კანონიერ წარმომადგენელზე;
- ეტლი უნდა იყოს დასაკეცი და მისი მასა არ უნდა აღემატებოდეს 45 კგ-ს;
- ძრავის სიმძლავრე უნდა იყოს არანაკლებ 180 w;
- დატვირთვის მასა არანაკლებ 110კგ;
- რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ერთ პირზე გაიცემა მხოლოდ ერთი მექანიკური ან ელექტრო სავარძელ-ეტლი;

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111.

IV-50/2

სამედიცინო ფორმა IV-50/2, გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მოწმობა. აღნიშნულ ფორმაში მითითებული იქნება დამხმარე საშუალების დასახელება.

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1. ვინ არის პროგრამის განმახორციელებელი?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინ პლატფორმა: https://www.sheaghe.ge/ka
ცხელი ხაზი: 0 800 900 902
ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

2. ჩემს შვილს ჭირდება ეტლის მორგება, ვის უნდა მივმართო?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინ პლატფორმა: https://www.sheaghe.ge/ka
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში ბავშვის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა

დახმარების სააგენტო ხაზი: + (995 32) 2 39 53 11

ონლაინ პლატფორმა: https://www.sheaghe.ge/ka

ცხელი ხაზი: 0 800 900 902

4. ეტლის მიღების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში რა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა მეკუთნის უფასოდ?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა

დახმარების სააგენტო ხაზი: + (995 32) 2 39 53 11

5. რამდენ ხანში ერთხელ შემიძლია შევიტანო განაცხადი ახალი ეტლის მოთხოვნის შესახებ?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო ხაზი: + (995 32) 2 39 53 11

6. ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება პროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის ან არ ხდება ვაუჩერით განსაზღვრული მომსახურეობის მიღება?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო ხაზი: + (995 32) 2 39 53 11
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202